<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 03/07/2012. სარეგისტრაციო კოდი 010190030.06.001.016009) 137-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. პლენარული სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, პარლამენტის წევრებს ამ თავით დადგენილი წესით ეთმობათ 30 წუთი განცხადებებისათვის. აღნიშნული დრო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, გამომსვლელების რაოდენობის შესაბამისად შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 30 წუთით. თითოეული პარლამენტის წევრის განცხადების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს. ამასთანავე, მას შეუძლია დამატებითი განცხადებისათვის ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთით. მისთვის გამოყოფილი დროის გაზრდა დაუშვებელია.“

მუხლი. 2 ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი